

საქართველოს კანონი

„სახელმწიფო ქონების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების და დამატების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სახელმწიფო ქონების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ საქართველოს კანონის (პარლამენტის უწყებანი, N29-30, 9.07.1997, გვ. 15) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება და დამატება:

1. მე-2 მუხლის 4² პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4² ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება:

ა) „მომავალი თაობებისა და სტაბილური განვითარების ფონდების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილი ფონდების ანდა ამ ფონდების მართვაზე უფლებამოსილი პირების მიერ ფონდების აქტივების საშუალებით შექმნილი ფინანსური აქტივების შემდგომ მართვაზე, ნებისმიერ სახით განკარგვაზე, მათ შორის პრივატიზებაზე ანდა სარგებლობის უფლებით გადაცემაზე;

ბ) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებზე.“.

2. მე-12 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-7 პუნქტი:

„7. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ 1 თვის ვადაში მოამზადოს ამ კანონის 4² მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარებისთვის აუცილებელი ნორმატიული აქტი.“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი

თბილისი,
2008 წლის .
N